საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030113532357918

№ 01-1268/ო **23 / ოქტომბერი / 2018 წ.**

ჯ ა ნ მ რ თ ე ლ ო ბ ი ს დ ა ც ვ ი ს პ რ ო გ რ ა მ ე ბ ი ს ა დ ა ი ნ ფ რ ა ს ტ რ უ ქ ტ უ რ უ ლ ი ს ა კ ი თ ხ ე ბ ი ს ს ა კ ო ო რ დ ი ნ ა ც ი ო ს ა ბ ჭ ო ს შ ე ქ მ ნ ი ს შ ე ს ა ხ ებ

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის, მე-15 მუხლის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 პუნქტებისა და 21-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეიქმნას ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებისა და ინფრასტრუქტურული საკითხების საკოორდინაციო საბჭო (შემდგომში - საბჭო) შემდეგი შემადგენლობით:

ა) ზაზა ბოხუა - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის (შემდგომში - მინისტრი) პირველი მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) მაია ლაგვილავა - მინისტრის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

გ) გიორგი წოწკოლაური - მინისტრის მოადგილე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს უფროსი, საბჭოს წევრი;

დ) კახაბერ ძიმისტარიშვილი - სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი, საბჭოს წევრი;

ე) მარინა დარახველიძე - სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსი, საბჭოს წევრი;

ვ) ნოე ქინქლაძე - სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი, საბჭოს წევრი;

ზ) ნათელა ხმალაძე - სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, საბჭოს წევრი;

თ) მამუკა სონღულაშვილი - მინისტრის მრჩეველი, კომისიის წევრი;

ი) ლაშა ნიკოლაძე - მინისტრის მრჩეველი, კომისიის წევრი;

კ) ავთანდილ თალაკვაძე - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ხელმძღვანელი, კომისიის წევრი.

2. საბჭოს სამდივნოს ფუნქციების შესრულება დაევალოს სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტს.

3. დამტკიცდეს თანდართული საბჭოს დებულება.

4. ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 31 აგვისტოს N01-99/ო ბრძანება „ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შესახებ“.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დავით სერგეენკო